პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს **სოციალურ მეცნიერებებში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, ჰუმანიტრულ მეცნიერებებში, სამართალში, საჯარო მმართველობაში, უსაფრთხოებასა და თავდაცვაში.**
- ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ან წარმოადგინოს უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატების წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სავარაუდო სადოქტორო ნაშრომის პროექტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კვლევის მიზანი, საკვლევი საკითხი და კვლევის მეთოდოლოგია. მათ ასევე უნდა გაიარონ გასაუბრება დარგობრივ საფაკულტეტო კომისიასთან, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს დეკანი.

ჩარიცხვის დროს მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Science/doctorantura.php

პროგრამის მიზანია:

- კვლევითი საქმიანობისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ორიგინალური და სისტემური კვლევის წარმოებას საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ;
- ახალი ცოდნის გენერირების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა–განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით მცოდნე აკადემიური კადრის მომზადებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- ახორციელებს უახლესი და აქტუალური ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცოდნის საზღვრების გაფართოებასა და ახალი მეცნიერული იდეების

გენერირებას, რომელიც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. • შეიმუშავებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს (საერთაშორისო ფორუმებსა და საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს დარგის განვითარებისათვის; • საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, პრიორიტეტებისა და თავისებურებების შესახებ ახდენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს (კვლევასა ან/და ინოვაციაში) კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას; • სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, აუდიტორიის თავისებურებებისა და სასწავლო მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს; • მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობების თემატურ დისკუსიებში და ახდენს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენასა და გადაცემას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. • ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემების შესახებ ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: • **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა; • **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა; • **(C)** - კარგი - შეფასების 71-80ქულა; • **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა; • **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა. უარყოფითი შეფასებებია: • **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება; • **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა სოციალურ მეცნიერებებში	4
2	სწავლების თანამედროვე მეთოდები	6
3	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	5
4	თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები და კონცეფციები	5
5	პროფესორის ასისტენტობა საერთაშორისო ურთიერთობებში	10
	სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული არჩევითი კურსები	
6.1	სამეცნიერო/კვლევითი პროექტი	10
6.2	თემატური სემინარი	10
	კვლევითი კომპონენტი	